

ETHNOLINGUISTIC ASPECTS OF STUDYING THE
KVASVETOBA/KASHVETOBA/KASHETOBA

ქვაშვეთობა/ქაშვეთობა /ქაშეთობის დღესასწაულის
შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები

MARIAM KOBERIDZE

Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Abstract.

This scientific article presents ethnolinguistic aspects of the study of traditions related to the Kashvetoba/Kvasvetoba/Kashetoba holiday, customs and rituals that have changed over time.

The name Kashveti (Kvasveti) is first attested in Georgian written sources in the 14th century. The miraculous icon of St. George of Kashveti is told in the historical document “Dzegli Eristavta”. The fame of the Kashveti Church throughout Georgia can be attributed to the churches and public holidays named after it in various parts of Georgia.

The feast dedicated to the miraculous icon of St. George of Atotsi was also called Atotsoba (Kashetoba). Its celebration began on the last Sunday of September and lasted until October 1. Atotsoba was also celebrated on April 23 (May 6). People prayed to the spirit of St. George of Atotsi to heal the sick.

In Racha, in the village of Sakao, the feast of the Church of St. George is Kashvetoba. There is a temple in Mestia named after Kashveti. In the village of Khurtisi (Khevi), there is a shrine of St. George, Kashveto. Here, the icon of Kashveto is considered the patron saint of children. The church of St. George of Kashueti is located in the village of Lilo. The names of the villages should be associated with Kashveti: Kashveti-Nasoflari in Khashuri municipality, Kvesheti-village in Mtiuleti, Kashveti-village in Mestia, Sakasheti-village in Gori municipality, Kashuetisgora-mountain east of the Tbilisi Sea near the village of Lilo.

The rituals performed on the feast of the Rosary expressed the obedience and reverence of believers to Saint George.

The Rosary holiday associated with the name of Saint George clearly expresses the identity and uniqueness of the Georgian people. Therefore, it is necessary to record this cultural heritage and understand it in a new way in connection with modernity.

Keywords: Kvasvetoba/Kashvetoba/Kashetoba; Saint George; ethnolinguistic aspects; ritual; traditions.

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი.

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წარმოდგენილია ქვაშვეთობა /ქაშვეთობა /ქაშეთობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციების, დროის ვითარების შესაბამისად სახეცვლილი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები.

სახელი ქაშვეთი (ქვაშვეთი) ქართულ წერილობით წყაროებში პირველად XIV საუკუნეში დასტურდება. ქაშვეთის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის შესახებ მოგვითხრობს ისტორიული ხასიათის დოკუმენტი „ძეგლი ერისთავთა“. ქაშვეთობის

ეკლესიის მთელ საქართველოში სახელგანთქმულობას უნდა მიეწეროს მისი სახელობის ეკლესიები და სახალხო დღესასწაულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ატოცის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატისადმი მიძღვნილ დღესასწაულს ატოცობას ქაშეთობასაც უწოდებდნენ. მისი დღესასწაული სექტემბრის ბოლო კვირას იწყებოდა და 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ატოცობა ასევე 23 (6 მაისს) აპრილსაც აღინიშნებოდა. ხალხი ატოცის წმინდა გიორგის სულით ავადმყოფების განკურნებას შესთხოვდა.

რაჭაში, სოფელ საკაოში წმინდა გიორგის ეკლესიის დღესასწაულია ქაშვეთობა. ქაშვეთის სახელწოდებით გვხვდება ტაძარი მესტიაში. სოფელ ხურთისში (ხევში) დგას წმინდა გიორგის სალოცავი ქაშეტა. აქ ქაშეთის ხატი ბავშვების მფარველ ხატად არის მიჩნეული. ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას სოფელ ლილოში. ქაშვეთს უნდა უკავშირდებოდეს სოფლის სახელწოდებები: ქაშვეთი-ნასოფლარი ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქვეშეთი-სოფელი მთიულეთში, ქაშვეთი-სოფელი მესტიაში, საქაშეთი-სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, ქაშვეთისგორა-მთა თბილისის ზღვის აღმოსავლეთით, სოფელ ლილოსთან.

ქაშვეთობის დღესასწაულზე შესრულებული რიტუალები გამოხატავდა მორწმუნეების მორჩილებასა და მოწიწებას წმინდა გიორგისადმი.

წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული ქაშვეთობის დღესასწაული მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის იდენტობასა და თავისთავადობას. ამიტომ აუცილებელია ამ კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა და თანამედროვეობასთან კავშირში ახლებურად გააზრება.

საკვანძო სიტყვები: ქვაშვეთობა/ქაშვეთობა/ქაშეთობა; წმინდა გიორგი; ეთნოლინგვისტური ასპექტები; რიტუალი; ტრადიციები.

შესავალი.

ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის მეთოდებით განხორციელებული კომპლექსური კვლევის შედეგები საინტერესოა, ფრაგმენტის თუ რელიქტის სახით ჩვენამდე შემონახული გადმონაშთის, ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურების რწმენისა და სარწმუნოებრივი წესების შესასწავლად (ბარდაველიძე, 1939: 8). ამავე დროს საწესჩვეულებო რიტუალებისა და დღეობების სიმრავლე თავისთავად აისახა ენაში და განაპირობა რელიგიური ლექსიკის სიმდიდრე. ამ ტერმინთა ენობრივი ანალიზი ხშირ შემთხვევაში გაადვილებს ამა თუ იმ კულტის საწყისების მიკვლევას და ნათელს მოჰფენს ზოგი რელიგიური ტერმინის განვითარების ისტორიას (გაზდელიანი, 1987: 67). ამიტომ საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხალხური თქმულებების, ხატობათა დღესასწაულების, რწმენა-წარმოდგენებისა და სარიტუალო პრაქტიკაში დაცული ლექსიკის ეთნოლინგვისტური კვლევა. რადგან, ენის ფესვები მითოსურ-მაგიურ-რიტუალურ, ანუ საწესო ცნობიერებაშია ჩაზრდილი, რაც უფრო წმინდადაა შემონახული ენის ძირითადი ბირთვი, მით უფრო მეტია საწესო ცნობიერების ნაშთები (ვახანია, 1993: 106).

რელიგიური და ხალხური დღესასწაულები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილია. გლობალიზაციის პირობებში ზოგიერთი დღესასწაული თითქმის გამქრალია ან სახეცვლილია. წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული დღეობები მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის იდენტობასა და თავისთავადობას. ამიტომ აუცილებელია ამ კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა, ახლებურად გააზრება, საგანგებოდ შესწავლა, შენახვა, მომავალი თაობებისათვის გადაცემა და ქართული ღირებულებების პოპულარიზაცია. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქვაშვეთობა/ ქაშვეთობა/ქაშეთობასთან დაკავშირებული ტრადიციების,

დროის ვითარების შესაბამისად სახეცვლილი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტების გამოვლენა.

მეთოდი. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია: აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საკვლევი საკითხის ქრონოლოგიური შესწავლისათვის ასევე გამოყენებული იქნა: ინდუქცია, დედუქცია, სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი.

შედეგები. წინამდებარე სტატიაში ქრონოლოგიურად თანამედროვეობასთან მიმართებაში შესწავლილია საქართველოში გავრცელებული წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ქვაშვეთობა/ქაშვეთობა/ქაშეთობის დღესასწაულის ტრადიცია; გაანალიზებულია ქართველი ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების მიერ ჩაწერილი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები და ისტორიული დოკუმენტები. საანალიზოდ გამოყენებული გვაქვს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიც. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისადმი მიძღვნილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესიები და დღესასწაულები (ატოცობა ანუ ქაშეთობა; რაჭაში, სოფელ საკაოში-ქაშვეთობა; მესტიაში - ქაშვეთი; სოფელ ხურთისში (ხევში)-ქაშეტა...), სოფლის სახელწოდებები (ქვეშეთი - მთიულეთში; ქაშვეთი - სოფელი მესტიაში; საქაშეთი - სოფელი შიდაქართლში, ქაშუეთისგორა - მთა სოფელ ლილოსთან; ქაშვეთი - ნასოფლარი ხაშურის მუნიციპალიტეტში ...); საწესო ცნობიერებაში ჩაზრდილი რიტუალები (ჯაჭვის ე.წ. „დადიანურის“ კისერზე დადება; ეკლესიაზე ბამბის ძაფის შემოვლება „ღვთისმშობლის სარტყელი“; განატეხი...); გამოიკვეთა მორწმუნეთა მიერ შესრულებული რიტუალების ქრისტიანული დატვირთვა და წარმართული ელემენტები; დაზუსტდა ქაშუეთის ხატის შესახებ წერილობითი წყაროები.

დისკუსია.

ქართული ტრადიციული ყოფა გამორჩეული იყო რელიგიური დღეობების სიმრავლით. ყოველ დღეობას საეკლესიო კალენდრიდან გამომდინარე სარიტუალო დატვირთვა ჰქონდა და ლოცვის აუცილებელ ატრიბუტს წეს-ჩვეულების შესრულება წარმოადგენდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები წმინდა გიორგის სახელს ატარებს.

„ამისათვის მიერ ჟამითგან ნიშნი და სასწაულნი უმრავლეს არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერისა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა“ (ბატონიშვილი, 1973: 40).

ხალხში გავრცელებულია რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმინდა გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია. ერთი სიტყვით, ვახუშტის მოყვანილი ცნობა, რომ მთა არ მოიპოვება საქართველოში, სადაც მის მწვერვალზე წმიდა გიორგის ეკლესია არ იყოს, ძალიან გაზვიადებული არ არის და ჭეშმარიტებას უახლოვდება. ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთავარი ადგილი უკავია (ჯავახიშვილი, 1979: 65-66).

ატოცის წმინდა გიორგის სალოცავი ფრონის ხეობაში ყველაზე ძლიერი სალოცავია. მისი სიძლიერე, როგორც ჩანს, ატოცის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატიდან გამომდინარეობს, რასაც ვახუშტიც აღნიშნავს: „ბრემის ჩრდილოთ არს ეკლესია ატოცს, წმინდის გიორგისა, სასწაულიანი“-ო (ბატონიშვილი, 1973:376).

ატოცის ახლანდელი წმ. გიორგის ტაძარი, გადმოცემით, აგებულია 1903¹ წელს ძველი პატარა ეკლესიის ადგილზე (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990: 358-359).

ხალხის გადმოცემით, შოთაძეებს² ატოცში იმერეთის სოფელ ჩხარიდან გადმოუტანიათ სადგერის წმ. გიორგის ხატი და ჯვარი³, დაუსვენებიათ საჯვაროზე⁴. ეს სიწმინდეები თავდაპირველად მოუთავსებიათ მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომელიც ატოცის ციხე - გალავანში მდებარეობდა. ამ ხატს აქ ეწოდა ატოცის წმ. გიორგი. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ეს ჯვარი ისევ ჩხარში გადაუტანიათ (თაყაიშვილი, 1948: 165).

ატოცობას ქაშეთობასაც უწოდებენ. მისი დღესასწაული სექტემბრის ბოლო კვირას იწყებოდა და 1 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ატოცობა ასევე 23 (6 მაისს) აპრილსაც აღინიშნებოდა. ამჟამად სოფელ ატოცის დღეობა 6 მაისს ტარდება. ხალხი ატოცის წმინდა გიორგის სულით ავადმყოფების განკურნებას შესთხოვდა. სალოცავში მოდიოდნენ ქადაგებიც. მლოცველებს ხატობაში მოჰყავდათ სულით ავადმყოფები, დგებოდნენ ღამისთევით, კლავდნენ კურატებს, ყოჩებს, მამლებს აფრენდნენ, ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალებს...

ვისაც შეთქმული ჰქონდა, კისერზე დადიანურის სახელით ცნობილ ხატის ჯაჭვს დაიდებდა და სამჯერ გარშემო მუხლმოდრეკილი შემოუვლიდა ეკლესიას.

ხატის ჯაჭვის, ე. წ. „დადიანის“ კისერზე დადების რიტუალი (მაკალათია, 1963: 49) ქართლის სხვა ტაძრებშიც სრულდებოდა. რიტუალურ წესებთან დაკავშირებით ხმარებული ჯაჭვებიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიპოვება გორიჯვრის ჯაჭვი „დადიანი“. მ. ხუბუას აღწერით, ჯაჭვი იყო 3.5 მეტრი, თავსა და ბოლოში კისერზე დასადები ბრტყელი, ნახევარ - რკალისებური რკინის ნაწილით და ჯაჭვის მეორე თავში დატანებული რგოლით. როგორც აღწერიდან ჩანს, ეს ჯაჭვი სიდიდით და სიმძიმით ერთობ თავისებურია და განკუთვნილია „შეწირულთათვის“. დაიდებდნენ კისერზე ამ მძიმე ჯაჭვის ერთ თავში მოძრავად მიბმულ ნახევარ რკალისებური ფორმის რკინას, რომლის მოკაუჭებულ ბოლოში ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე ტანზე შემოხვეული ჯაჭვის რგოლს. ამგვარად, მთელი ამ ჯაჭვით ტანზე შემოხვეული და კისერთან შეკრული უვლიდნენ გარშემო სალოცავ ადგილს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიპოვება გორის რაიონიდან ჩამოტანილი ჯაჭვები: „არბო“ (სოფელ არბოდან) და „ზერტი“ (სოფელი ზერტიდან). ასეთი ტიპის ჯაჭვებს კისერზე დასადები რგოლის მაგივრად მეორე თავში დატანებული აქვთ რკინის სოლი (ხუბუა, 1937: 150, 151).

როგორც, მ. ხუბუას შესწავლილი მასალებიდან ჩანს, რიტუალური ხასიათის წესებთან დაკავშირებული ჯაჭვები დამახასიათებელია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის, დასავლეთ საქართველოში კი არ ჩანს. გერისტობის დროს მლოცველი კისერზე დადებული „დადიანური“ (დიდი ჯაჭვი) ჯაჭვით სამჯერ უვლიდა სალოცავს (დამბაშიძე, 2011: 86).

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მიაჩნდათ, რომ თუკი ვინმე რაიმე სურს შესთხოვოს ღომისის წმინდა გიორგის ან აღთქმა უკვე დადებული აქვს, ამ ჯაჭვს

¹ როგორც ჩანს 1903 წელი ტაძრის მშენებლობის დაწყების თარიღია. მშენებლობა დასრულებულა 1906 წელს.

² ახლანდელი გვარია დიდებულისძე.

³ ანალოგიური თქმულება არსებობს სადგერის ეკლესიაზეც, სადაც შოთაძეები ყოფილან სადგერის ჯვრისა და ხატის მხლებელნი და მცველნი. XVI საუკუნეში სამცხეში თურქთა ბატონობის ბატონობის დამყარების შემდეგ შოთაძეებს სადგერის ჯვარი და ხატი გადაუტანიათ ჩხარში (მაკალათია, 1957:32).

⁴ ატოციდან ნახევარი კილომეტრია.

კისერზე იდებს და ეკლესიას ლოცვით სამჯერ გარს უვლის, ლომისის წმინდა გიორგის ჯაჭვი თურმე განსაკუთრებით დასაოჯახებელ ახალგაზრდებს სწყალობს. ლომისში დღემდე ინახება ცნობილი ლომისის ჯაჭვი. ვინ და რატომ მიიტანა ლომისში ეს ჯაჭვი დანამდვილებით არ არის ცნობილი, განსაკუთრებით დასაოჯახებელ ახალგაზრდებს წყალობს (ღამბაშიძე, 2011: 174).

გამოთქმულია ვარაუდი, „რიტუალურ“ წესებთან დაკავშირებით „შეწირულთა“ ჯაჭვებით შეკვრის პროცესი ხომ არ შეიძლებოდა დაკავშირებოდა წარმართული ეპოქიდან მომდინარე გადმონაშთების რაიმე კონკრეტულ სახეებს?

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისმის კითხვა: თუ იმ მოსაზრებას მივიღებთ, რომ ჯაჭვით ეკლესიის გარშემოვლა წარმართობის წიაღში იდებს სათავეს, მაშინ რატომ ერქვა გორიჯვრის ეკლესიაში დაცულ ჯაჭვს „დადიანი“? ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრები-დადიანები დამნაშავეებს სპეციალური ჯაჭვით აბამდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე მისონერი არქანჯელო ლამბერტი (ლამბერტი, 1957: 134). ამგვარად, აქ საქმე გვაქვს დასასჯელად გამოსაყენებელ ჯაჭვთან.

გორიჯვრის ჯაჭვი რიტუალური დანიშნულებით გამოიყენებოდა „დადიანისაგან“ განსხვავებით, მაგრამ მასაც იგივე სახელი ერქვა. გორიჯვრის ჯაჭვი ან სამეგრელოში იყო დამზადებული და იქიდან გორში მოტანილი და სახელიც თან მოჰყვა ან ამ ჯაჭვსაც ოდესღაც დამნაშავეთა დასაბმელად იყენებდნენ და იმ დროიდან შემორჩა „დადიანი“, როგორც დასჯის იარაღი (მამისთვალიშვილი, 1999:150, 151).

ძველად დასასჯელად გამოყენებულმა ჯაჭვმა შიდა ქართლის (არა მარტო) ხატებში განსხვავებული ფუნქცია შეიძინა (კოშორიძე, 2019: 1-2).

ჩვენთვის ხელმისაწვდომ და გამოქვეყნებულ მასალებში არ დასტურდება რა დროიდან გვხვდება ან საიდან იქნა მიტანილი ატოცობის ანუ ქაშეტობის დღესასწაულზე „დადიანური“ ჯაჭვი რიტუალის შესასრულებლად; ასევე არ დასტურდება ლომისის ჯაჭვის სახელწოდებად „დადიანური“. ვფიქრობთ, რომ შიდა ქართლის მთავარი სალოცავად ოდითაგანვე გორიჯვარი ითვლებოდა და სწორედ აქ შესრულებული რიტუალი გავრცელდა სხვა სოფლებშიც, მათ შორის ატოცშიც. ჯაჭვის დადება გამოხატავს მორჩილებასა და მოწიწებას წმინდა გიორგისადმი.

ატოცის წმ. გიორგის სასწაულზე მოგვითხრობს ბაგრატ ბატონიშვილი: „თვით დღესასწაულსა მისსა იქმნა ესე სასწაულ ეკლესიასა მისსა ატოცს: შჰთამოვიდა გველეშაპი დიდი და საზარელი გარემორტყა ეკლესიასა და ჩაიდო კუდი თჳსი პირში კარებთანა, ოდეს მლოცავნი ხალხნი მოვიდის, გამოიღის პირიდან კუდი და შეუშვის ეკლესიად და ჩაიდვის ისევ პირს კუდი თჳსი და გამოსვლასავე ესრეთ ჰყვის, ესე გველეშაპი იყო მოხვეულ საყდარსა სამ დღე და ღამეს და მეოთხე დღეს უჩინო იქნა. ესე მრავალთა ხალხთა სხვათა და იმ სოფლის მცხოვრებთაც იხილეს. ამის მნახავი თვით თავადი ბესარიონ თარხნიშვილი ზაზას ძე არის და ჯავახიშვილი ქაიხოსრო, თვალითა თვისითა ეხილვით ესე ამ წელს 1817, აპრილს 23, რომ იმ დღესასწაულში იქ ყოფილიყვნენ ატოცს“ (ბატონიშვილი, 1941: 156). ამ ლეგენდის შესახებ მოგვითხრობს სხვა წყაროებიც (ღამბაშიძე, 2011: 24).

ასეთივე თქმულებაა „ატოცის თვალზე“. ხალხის გადმოცემით, საყდრის ტრაპეზზე, პატარა ყუთში დევს კარგად მოზრდილი თვალი. „არავინ იცის, რა თვალია, ამბობენ, ნატვრის თვალიაო, მაგრამ ვერავის ვერ გაუბედნია ხელის ხლება გასასინჯათ“. საიდან გაჩნდა ეს თვალი? ერთხელ ჩამოვიდა გველეშაპი მაღლიდან, შემორტყა საყდარს გარშემო, კუდი პირში დაიჭირა და ამ მდგომარეობაში დაჰყო დიდ ხანს. ხალხი მოემწყვდა საყდარში. ვეღარც შედიოდნენ, ვეღარც გამოდიოდნენ შიშით. შვიდი დღე-

დამე გაგრძელდა ეს მოვლენა. ბოლოს გაიხადა გველეშაპმა ძველი პერანგი, დააგდო საყდრის გალავანში, თვითონ პირიდან წამოაგდო „თვალი“, მიაღწია ატოცის წმინდა გიორგის საყდარს და ერთი ჭექა-ქუხილით, საშინელი ხმაურით წავიდა „ზემოთქვენ“. ტყავი დააწყვეს ხუთ ურემზე და გადაზიდეს შორს. იმ წელიწადს ისეთი „საანდაზო“ (საუკეთესო) მოსავალი მოვიდა (დროება, 1878: 2-3).

ატოცის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გულიკანთ უბნის ქვემოთ არის ე. წ. „ქვაბთქალას“ ეკლესია, მდინარე ფრონის გაღმოდმა, თითქმის დაფარულია მუხითა და რცხილის ტყით, იგი ერთნავეანია. ნაგებია კლდის ქვით, ეკლესია დანგრეულია, აქვია ნასოფლარიც. გადმოცემით, ამ სოფელს ლეკები დასცემიან, ხალხი აქედან გახიზნულა. ლეკებს იგი ჩქარა უპოვიათ და გაუტაციათ. გზაში მისი გაუპატიურება მოუწოდებიათ. ქალს ღვთისთვის უთხოვია: ამას გადამარჩინე და ქვად მაქციეო. ეს ქალიც გაქვავებულია და იქვე ჭალაში დაუგდიათ. ამ ქვას უწოდებენ „ქვადედაკაცას“, ჭალასაც დღესაც ქვადედაკაცას ეძახიან.

„ქვადედაკაცა“ არის ერთი მეტრის სიგრძე კლდის ქვა, რომელსაც თავი აქვს ადამიანის თავის ქალის მსგავსი, მხოლოდ ხელ-ფეხი არა აქვს. ამ ქვას ხელს არ ახლებდნენ, ზოგჯერ მას სანთლებსაც უნთებდნენ. როდესაც გვალვა დგებოდა, დედაკაცები ვედრებაზე დაივლიდნენ სოფელში, აგროვებდნენ საწირს, მერე მივიდოდნენ ქვადედაკაცასთან, გადააბრუნებდნენ მას, წყალს გადასხამდნენ და იტყოდნენ: „წვიმა მოგვეციო“. მარიამობას (ყველიერში) ამ ქვადედაკაცასთან სალოცავად ქალები მიდიოდნენ, ღამეს უთევდნენ და თან ლოცულობდნენ (მაკალათია, 1963: 49-51).

ატოცობის დღესასწაულზე სხვა რიტუალიც სრულდებოდა: ზოგიერთი მორწმუნე ეკლესიას ბამბის ძაფს შემოავლებდა ხოლმე. ამ ძაფს „ღვთისმშობლის სარტყელს“ ეძახდნენ. „ცდილობდნენ, რომ ძაფი არ გაწყვეტილიყო, რადგან ეს ითვლებოდა წარუმატებლობისა და უბედურების მომასწავებლად“ (კოშორიძე, 2019: 1-2).

ზოგი ავადმყოფი ცეკვით შემოუვლიდა ტაძარს. წმინდა გიორგის ხატის რჩეული ქადაგად ეცემოდა.

ატოცის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი რიტუალები თითქმის მსგავსია შიდა ქართლის სხვა სოფლებში ჩატარებული რიტუალებისა. წმინდა გიორგის ევედრებოდნენ გამოჯანმრთელებას, შვილიანობას, ოჯახის შექმნას... ატოცობის დღესასწაულის მეორე სახელწოდება ქაშეთობა ქაშეთის ეკლესიას უნდა უკავშირებოდეს.

სახელი ქაშეთი (ქვაშეთი) წერილობითი წყაროებით, პირველად მხოლოდ XIV საუკუნეში დასტურდება. თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების დროს, თბილისის აღებასთან ერთად, ბუნებრივია, მტერი არც მის შემოგარენს დაინდობდა. სწორედ ისტორიული ხასიათის დოკუმენტში, „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ამ ამბებზე მოგვითხრობს, ჩნდება პირველად ეს სახელი. თემურ-ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს კათალიკოს-პატრიარქის - ელიოზის მიერ გადარჩენილ და ქსნის საერისთავოში დავანებულ ქართულ სიწმინდეთა შორის დასახელებულია ქაშეთის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატი. ისტორიული წყაროს მიხედვით, გახარებულ ვირშელ ერისთავს ხატი შეუმკია და მისთვის ცალკე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია აუგია (ძეგლი ერისთავთა, 1954: 350-360; ცინცაძე, 1994:16,128).

XVIII საუკუნიდან ქაშეთის ტაძრის შესახებ ცნობების გვაქვს ისტორიკოსების პაპუნა ორბელიანის, სეხნია ჩხეიძისა და სხვათა თხზულებებში, სადაც იმ დროის სახელგანთქმული სარდლის გივი ამილახვრის დამსახურებაზეა საუბარი. ქაშეთი მოიხსენიება 1723 წელს კახეთსა და ქართლს შორის ამტყდარი ომის დროს, როდესაც თბილისიდან დევნილი, კახთა მეფის კონსტანტინესაგან დამარცხებული ვახტანგ VI

ამალით ქაშვეთში ჩერდება და აქ თბილისის მოსახლეობას ხვდება (ბატონიშვილი, 1973: 503).

ქაშვეთის შემდგომი ისტორია XVIII საუკუნეში ამილახვართა გვარს უკავშირდება. 1742 წელს გივი ამილახვარი აშენებს აგურის ეკლესიას. შემდგომში ეს ეკლესია დაზიანდა და საკითხი წამოიჭრა მისი შეცვლის აუცილებლობაზე. ახალი ტაძრის მშენებლობა 1910 წელს დამთავრდა (კვირკველია, 1985: 102).

გაზეთ „ცნობის ფურცელი“ იუწყება, რომ 1898 23 აპრილს დიდი მოწამის გიორგი-მღევამოსილის დღეს ქვაშეთობა იდღესასწაულა ტფილისის ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიამ. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი, საქართველოს საექსარხოსოს პირველი ვიკარი ლეონიდე და ადგილობრივი სამღვდელოება. წირვის შემდეგ გადახდილი იქნა პარაკლისი (ცნობის ფურცელი, 1898 : 1).

მისი უწმინდესობა კ. ცინცაძე, თავის ნაშრომში, განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქაშვეთის ეკლესიის მთელ საქართველოში სახელგანთქმულობას. ამას უნდა მიეწეროს მისი სახელობის ეკლესიების არსებობა საქართველოს მრავალ კუთხეში. ამაზევე მეტყველებდა ჩამომსვლელ-მომლოცველთა სიმრავლეც. დაზუსტებით არ არის ცნობილი, რა იყო ქაშვეთის ტაძრის პოპულარობის მიზეზი. შესაძლოა, ამის საფუძველი ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და ლეგენდაში აღწერილ წმინდა მამა დავითის მიერ მოვლენილ სასწაულში უნდა ვეძიოთ. ქაშვეთის ტაძარში დადიოდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიების წარმომადგენლები: რუსები, სომხები, აისორები, მამადიანები და ზოგჯერ ებრაელებიც (ცინცაძე, 1994: 129).

თუ ქაშვეთის შესახებ პირველი დადასტურებული წერილობითი დოკუმენტი XIV საუკუნეს ეკუთვნის, მის შესახებ პირველ ცნობას უძველესი თქმულება გვაწვდის და VI საუკუნის დასაწყისის ცნობილი საეკლესიო პირის, ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთ, შემდგომში გარეჯელად წოდებულის, წმინდა დავითის სასწაულს უკავშირდება.

თქმულების მიხედვით, როდესაც წმინდა იოანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები სამოღვაწეოდ ქართლის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა. მამა დავითი თავის მოწაფესთან, ლუკიანესთან ერთად გარეჯში წავიდა. გზად, ერთხანს, თბილისთან შეჩერდა და ქალაქის ახლოს აღმართული მთის (დღევანდელი მამადავითი) ქვაბულში დაიდო ბინა. ხალხში ქრისტიანული სარწმუნოება რომ განემტკიცებინა, წმინდა მამა დროდადრო მიდიოდა იმ ადგილას, სადაც ამჟამად ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას. მაშინ იქ დედათა მონასტერი იყო და აქ მოსახლე თემს ქრისტეს სჯულს ასწავლიდა. მალე მისმა ქადაგებამ ნაყოფი გამოიღო. ქრისტიანული სარწმუნოების მოწინააღმდეგე ძალებმა, ცეცხლთაყვანისმცემლებმა დავითის მოღვაწეობით შექმნილი საფრთხე რეალურად შეაფასეს და მისი თავიდან მოცილება განიზრახეს. ხელსაყრელი შემთხვევა გახდა მონასტერში ერთ-ერთი მონაზვნის დაფეხმძიმება. მოგვებისაგან მოსყიდულმა ქალმა წმინდა მამას საქვეყნოდ დასდო ბრალი. დავითის სიმართლის დამადასტურებელი სასწაულის შემდეგ განრისხებულმა ხალხმა ქალი ჩაქოლა და გვამი იქვე, ქვათაშუა დატოვა, აქედან წარმომდგარა სახელი „ქვათასუეთი“ ანუ „ქვაშვეთი“. ცნობილია ამ თქმულების მეორე ვერსიაც, სადაც ხალხმა შეისმინა დავითის თხოვნა და მონაზონი სიკვდილით აღარ დასაჯა. ქალმა ბავშვის ნაცვლად ქვა შვა და აქედან მოდის „ქვაშვეთიო“ -ამბობს ლეგენდა (ცინცაძე, 1994: 10).

ქაშვეთის დედათა მონასტერში სასულიერო პირების არსებობა, რომელნიც ალბათ საეკლესიო საქმეებს განაგებდნენ და წესისამებს წირვა - ლოცვასაც ატარებდნენ. რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება კი, ბუნებრივია, აქ საკულტო ნაგებობის

აუცილებლობას მოითხოვდა. მაშასადამე, უნდა ყოფილიყო ტაძარი ან სამლოცველო მაინც, რომელიც მრევლის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. მართალია, თქმულებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი (ტაძარი აქ უბრალოდ ნაგულისხმევია), მაგრამ თვითონ ფაქტი მონაზვნობის და სამღვდელოების არსებობა ამაზე აშკარად მიუთითებს (გიორგობიანი, 2016: 40).

მ. ზარდიაშვილი აღნიშნავს, რომ ქაშვეთი XVIII საუკუნეში თბილისის გარეთუბანში კეთროვნების თავშესაფარს წარმოადგენდ. ის იმოწმებს ი. აბულაძის განმარტებას: „ქაშვეთი-კეთრი, მეტად ავი სნეულება, ავთვისებიანი განუკურნებელი სენია“ (ზარდიაშვილი, 1978: 69). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ქაშოეთი-ხორცის დარღვევა წყლულებითა“ (ორბელიანი, 1949: 708).

ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიამ საფუძველი ჩაუყარა წმინდა გორგისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულებისა და ტოპონიმების გაჩენას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მცხეთის ჯვრის დღესასწაულებს მრავალი ცნობილი ხალხური დღესასწაული უკავშირდება: ლომისობა (სულთმოფენობის ოთხშაბათს), ქაშვეთობა (აღდგომიდან მესამე კვირას) და სხვა მრავალი. ეს დღესასწაულები თავდაპირველად მცხეთის ჯვრის დღესასწაულები იყო, მოგვიანებით წმ. გიორგის სახელს დაუკავშირდა (ღამბაშიძე, 2011: 191-192).

საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ქაშვეთის სახელობის ეკლესიებია, ტაძრის დღესასწაული ქაშვეთობა - აღდგომიდან მესამე კვირას აღინიშნება. რაჭაში, სოფელ საკაოში ქაშვეთის სახელობის მთავარმოწამის ანუ წმ. გიორგის ეკლესიაა, რომელსაც მთხრობლის თქმით, აღდგომიდან მეთოთხმეტე დღეს, ანუ აღდგომიდან მესამე კვირას აქვს დღეობა.

ქაშვეთობაზე აუცილებლად მიჰქონდათ სანთელ-განატეხი, ხოლო ვისაც შეთქმული ჰყავდა მიჰყავდა ხბო, ცხვარი, ნიგვზიანი, ერბოიანი ან ხაჭოიანი განატეხი, ღორის ხორცი და ქონი იკრძალებოდა. ამ ყველაფერს სხვა სანოვანებსაც მიაყოლებდნენ. ღვინოს წაიღებდნენ. დიდება ღვინისაგან წარმოიშობაო ანუ ღმერთის სადიდებლად ღვინო აუცილებელიაო - ამბობდა ხალხი. პირველად ეკლესიაში რომ მივიდოდნენ, საკლავს ეკლესიას სამჯერ შემოატარებდნენ, სანთელს აანთებდნენ, საკლავს ბეწვს სანთლით შეუტრუსავდნენ, მზის ჩასვლამდე სახით აღმოსავლეთისაკენ დააყენებდნენ და დაკლავდნენ. ვინც კლავდა, ისიც პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, განატეხს და სანთელს ეკლესიაში შეიტანდნენ, ხატთან დადებოდნენ, განატეხს მარჯვნიდან შემოატრიალებდნენ და გაჭრიდნენ. როდესაც სუფრასთან სხდებოდნენ, პირველ სადღეგრძელოდ სალოცავს ახსენებდნენ, რასაც მოჰყვებოდა სიმღერა წმ. გიორგიზე, რომელსაც მაყრულს ეძახდნენ.

„წმინდა გიორგი ცხოველო, შენ შეგვეწიე, დაგვლოცე.

წმინდა გიორგი ცხენსა ზის ლურჯა, ჭარმაგსა,

ხელში უჭირავს მათრახი

ოქრო უგია ტარადა“ (ღამბაშიძე, 2011, 192-193).

სუფრასთან იმართებოდა ცეკვა-თამაშიც.

„განატეხი“ ჰქვია რაჭული ხაჭაპურის ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს. ის ძირითადად საეკლესიო დღესასწაულებისათვის ცხვებოდა და სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

სიუხვის, ბარაქისა და ღვთის წყალობის შეთხოვნით ოჯახის დიასახლისი „განატეხის“ სამზადისს წინა საღამოს იწყებდა. გამტკიცული ფქვილით საფუვრიან ცომს დააყენებდა, მერე ყველისა და გატარებული ნიგვზის თანაბარი წილით გულსართს მოამზადებდა, აფუებულ ცომს ერთხელ კიდევ ჩაზელდა, პატარ-პატარა გუნდებად დაანაწილებდა, გულსართს ცომში შეახვევდა, გააბრტყელებდა, გამოაცხობდა და დილაუთენია უბრად - ისე, რომ არავის დაენახა, ხმა არავის გაეცა, მდუმარედ მრავალმაღლის სალოცავისაკენ აღმართს ფეხშიშველი შეუყვებოდა, ხელისგულზე „განატეხი“ ედო და ტაძარს სამჯერ შემოუვლიდა. ეკლესიის ეზოში მყოფებს ხაჭაპური უნდა მოეტეხათ. სახელი „განატეხიც“ სწორედ აქედან გაჩნდა. ეს იყო მადლისა და მოწყალების განაწილების რიტუალი, რომელსაც მხოლოდ ქალები ასრულებდნენ.

სოფელ ხურთისში (ხევში) დგას წმინდა გიორგის სალოცავი ქაშეტა. დღეობას (თარიღი ზუსტად არ არის ცნობილი) გაზაფხულზე, კვირადღეს აღნიშნავენ. ვარაუდობენ, რომ ქაშეტა - ქაშეთის დამახინჯებული ფორმაა. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ სალოცავი წმინდა გიორგის უკავშირდება და შესაბამისად ქაშეთის ცნობილ ლეგენდასაც. საფიქრებელია, რომ სოფელში არსებობს ადგილი საწყევარაი, სადაც ადრე დამნაშავეებს რისხავდნენ. წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მან დაწყევლა, შერისხა ცილისმწამებელი (ბიწამე, 2015: 123). ქაშეთის ხატს ბაღლების ხატსაც უწოდებენ (ითონიშვილი, 2015: 176).

ქვეშეთი სოფელია მთიულეთში, მდინარე არაგვის სანაპიროზე. ქვეშეთი გვიანდელი დასახლებული პუნქტია. იგი XIX საუკუნის შუა წლებიდან დაფუძნებულია. ამიტომაც არის, რომ ამ სოფლის არსებობა უცნობია ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებისათვის. ადგილობრივები სწორად განმარტავენ მის წარმოშობას, „დიდველის“ დაბლაა, ქვეშ არის და ქვეშეთი იმიტომ ჰქვია. ტოპონიმი მსაზღვრულდაკარგულ სახელად მოჩანს. იგი რაღაცის ქვეშეთია, რომლიდანაც ობიექტის ძირში, ქვემოთ მდებარე ადგილია. მისი მდებარეობა მართლაც ქვეშეთად მოჩანს (ბედოშვილი 2002: 432).

ქაშეთი ნასოფლარია დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მდებარეობდა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფლების, თავგეთისა და კოდიწყაროს შორის. ცნობილია დამპალას სახელწოდებითაც. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არცერთი სახელწოდებით არ იცნობენ, არც ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება. სოფელი მოიშალა XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, როცა მოსახლეობა გადაასახლეს ცხრამუხაში (ლაცაბიძე, 2019: 5)

ქაშეთი სოფელია მესტიის მუნიციპალიტეტში. იგივე ძირი უნდა გვქონდეს ტოპონიმში საქაშეთი.- სოფელი შიდაქართლში. ქაშუეთის ეკლესია არის სოფელ პატარა ლილოში. ქაშუეთის გორას უწოდებენ თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელ ლილოსთან მდებარე მთას.

ამრიგად, ქავშეთობა/ქაშეთობა/ქაშეთობის დღესასწაულთან დაკავშირებული წეს-ჩეულებების, რიტუალებისა და ამ რიტუალებთან დაკავშირებული მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში ქაშეთის წმინდა გიორგის ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ქაშეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიისადმი მიძღვნილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესიები და დღესასწაულები (ატოცობა ანუ ქაშეთობა; რაჭაში, სოფელ საკაოში-ქაშეთობა; მესტიაში - ქაშეთი; სოფელ ხურთისში (ხევში)-ქაშეტა ...), სოფლის სახელწოდებები (ქვეშეთი - მთიულეთში; ქაშეთი - სოფელი მესტიაში; საქაშეთი -სოფელი შიდაქართლში, ქაშუეთისგორა - მთა სოფელ ლილოსთან; ქაშეთი - ნასოფლარი ხაშურის მუნიციპალიტეტში ...). ეს დღესასწაულები რამდენიმე მსგავს

საკრალურ რიტუალს მოიცავს: სალოცავში მისატანი კულინარიული შესაწირის მომზადება, მსხვერპლის შეწირვა, ქათმების აფრენა, ლოცვა, შესაწირის გაღება... განსხვავებულია საწესო ცნობიერებაში ჩაზრდილი ისეთი რიტუალები, როგორიცაა: ატოცობის ანუ ქაშეტობის დღეობაზე ჯაჭვის ე.წ. „დადიანურის“ კისერზე დადება, ეკლესიაზე ბამბის ძაფის შემოვლება „ღვთისმშობლის სარტყელი“; რაჭაში, სოფელ საკაოში ქაშევთობის დღესასწაულისათვის განატეხის მომზადება; საკლავის ბეწვის შეტრუსვა და დაკვლის დროს აღმოსავლეთით დაყენება. ყველა მოძრავი დღესასწაული გამოითვლება აღდგომიდან, ხოლო უძრავი დღესასწაული გიორგობას უკავშირდება: 6 მაისი და 23 ნოემბერი.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ და გამოქვეყნებულ მასალებში არ დასტურდება რა დროიდან გვხვდება ან საიდან იქნა მიტანილი ატოცობის ანუ ქაშეტობის დღესასწაულზე „დადიანური“ ჯაჭვი რიტუალის შესასრულებლად; ასევე არ დასტურდება ლომისის ჯაჭვის სახელწოდებად „დადიანური“. ვფიქრობთ, რომ შიდა ქართლის მთავარი სალოცავად ოდითაგანვე გორიჯვარი ითვლებოდა და სწორედ აქ შესრულებული რიტუალი გავრცელდა სხვა სოფლებშიც, მათ შორის ატოცშიც. ჯაჭვის დადება გამოხატავს მორჩილებასა და მოწიწებას წმინდა გიორგისადმი.

გამოიკვეთა გენდერული განსხვავებაც: საკლავს მამაკაცები კლავდნენ, დანარჩენ რიტუალებს ქალები ასრულებდნენ. ვფიქრობთ, რომ ქვაშვეთის ლეგენდის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი თქმულებები: სოფელ ატოცში „ქვადედაკაცი“ და სოფელ ხურთისში (ხევში) – „საწყევრა“.

აღნიშნულ დღესასწაულებს თუ რიტუალებს უმთავრესად სოციალური ფუნქცია გააჩნიათ და ხელს უწყობენ ამ გზით საზოგადოებაში ინტეგრაციას და სოციალიზაციის პროცესს. ქვაშვეთობა/ ქაშევთობა/ ქაშეთობა ერთი ფონეტიკური შედგენილობის ძირია და უკავშირდება ქაშვეთს. ქვაშვეთი→ქაშვეთი→ქაშეთი.

წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული ქვაშვეთობის /ქაშვეთობის /ქაშეთობის დღესასწაული მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის იდენტობას და თავისთავადობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარდაველიძე, ვ. (1939). *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი*. თბილისი.
- ბატონიშვილი, ბ. (1941). *ახალი მოთხრობა*. თბილისი.
- ბატონიშვილი, ვ. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ბედოშვილი, გ. (2002). *ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“.
- ბიწაძე, ს. (2015). *რელიგიური დღესასწაულები ხევში*. თბილისი.
- გაზდელიანი, ე. (1988.). *ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი*, 67.
- გაზეთი „დროება“ (1878). 24 მარტი. # 62, 3.

- გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1898). 25 აპრილი. # 515, 3
- გიორგობიანი, ლ. (2016). *ქაშვეთის (ქვაშვეთის) არქიტექტურული ანსამბლი*. თბილისი.
- ვახანია, ზ. (1993). საწესო ცნობიერება და სიტყვის წარმომავლობა. *მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია*. # 2, 106.
- ზარდალიშვილი, გ. (1978). *თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია*. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- თაყაიშვილი, ე. (1948). ჩხარის ეკლესიის სიძველენი (სადგერ-ჩხარის ჯვარი, მისი წარწერები). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XV, 165.
- ითონიშვილი, ვ. (2015). *მოხვევების ყოფა-ცხოვრება*. თბილისი.
- კვირკველია, თ. (1985). *ძველი თბილისური დასახლებანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- კოშორიძე, თ. (2019). გორიჯვარი და მისი რიტუალები. <https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/11392-gorijvroba-da-misi-ritualebi>. დამოწმების თარიღი: 25.04.2025.
- ლამბერტი, ა. (1938). *სამეგრელოს აღწერა*. თბილისი.
- ლაცაბიძე, თ. (2019). ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში. *ხაშურის მოამბე*. 29 ივლისი. #29, 5.
- მაკალათია, ს. (1957). *ბორჯომის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- მაკალათია, ს. (1963). *ფრონის ხეობა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- მამისთვალიშვილი, ე. (1999). *გორის ისტორია, II*. გორი: გამომცემლობა „ქართლი“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1949). *სიტყვის კონა*. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*. (1990). ტ.5. თბილისი.
- ლამბაშიძე, ნ. (2011). *ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები*. თბილისი: გამომცემლობა „ციცინათელა“.
- ცინცაძე, კ. (1994). *ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია. ქართული ეკლესიის ისტორია*. ტფილისი: გამომცემლობა „კანდელი“.
- ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე) (1954)*. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. თბილისი.
- ხუბუა, მ. (1937). „ხაჯალური“ და „დადიანური“. *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვეთი II, 150-151.
- ჯავახიშვილი, ი. (1979). *ქართველი ერის ისტორია*, ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

References

- bardavelidze, v. (1939). *svanur khalkhur dgheobata k'alendari [Calendar of Svan folk holidays]*. tbilisi.
- bat'onishvili, b. (1941). *akhali motkhroba [New story]*. tbilisi.
- bat'onishvili, v. (1973). *aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. kartlis tskhovreba [Life of Kartli]* . IV. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.
- bedoshvili, g. (2002). *kartul t'op'onimta ganmart'ebit-et'imologiuri leksik'oni [Explanatory-etymological dictionary of Georgian toponyms]*. tbilisi: gamomtsemloba „bak'ursulak'auri“.
- bits'adze, s. (2015). *religiuri dghesasts'aulebi khvshi [Religious holidays in the valley]*. tbilisi.
- gazdeliani, e. (1988.). *zogi svanuri religiuri t'erminis ts'armomavlobisatvis [For the origin of some Svan religious terms]. et'imologiuri dziebani [Etymological searches]*, 67.

- gazeti „droeba“ [Newspaper "Droeba"] (1878). 24 mart'i. # 62, 3.
- gazeti „tsnobis purtseli“ [Newspaper "Zhnosmis Purtseli"] (1898). 25 ap'rili. # 515, 3.
- giorgobiani, l. (2016). *kashvetis (kvashvetis) arkit'ekt'uruli ansambli [Kashveti (Kvashveti) architectural ensemble]*. tbilisi.
- vakhania, z. (1993). sats'eso tsnobiereba da sit'qvis ts'armomavloba [Consciousness of rules and word origin.]. *matsne. enisa da lit'erat'uris seria [Matsne. Language and Literature Series]*. # 2., 106.
- zardalishvili, g. (1978). *tbilisisa da misi midamoebis t'op'onimia [Toponym of Tbilisi and its surroundings]*. tbilisi: gamomtsemloba „tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i“.
- taqaishvili, e. (1948). chkhari ek'lesiis sidzveleni (sadger-chkhari jvari, misi ts'arts'erebi) [Antiquities of the Chkhari Church (the Sadger-Chkhari cross, its inscriptions)]. *sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe [Georgian State Museum Moambe]*. t'. XV, 165.
- itonishvili, v. (2015). *mokheveebis qopa-tskhovreba [The life of the Mokhevas]*. tbilisi.
- kv'irk'velia, t. (1985). *dzveli tbilisuri dasakhlebani [Old Tbilisi settlements]*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.
- k'oshoridze, t. (2019). *gorijvari da misi rit'ualebi [Gorijvari and its rituals.]*. <https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/11392-gorijvroba-da-misi-ritualebi>. damots'mebis tarighi: 25.04.2025.
- lambert'i, a. (1938). *samegrelos aghts'era [Description of Samegrelo]*. tbilisi.
- latsabidze, t. (2019). khashuris munitsip'alit'et'is ist'oria t'op'onimebshi [History of Khashuri Municipality in Toponyms]. *khashuris moambe [Khashuri's Moambe]*. 29 ivlisi. #29, 5.
- mak'alatia, s. (1957). *borjomis kheoba [Borjomi Valley]*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.
- mak'alatia, s. (1963). *pronis kheoba [Prone Valle]*. tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.
- mamistvalishvili, e. (1999). *goris ist'oria [History of Gori.]*, II. gori: gamomtsemloba „kartli“.
- orbeliani, s.-s. (1949). *sit'qvis k'ona [The word Kona]*, II. tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami“.
- sakartvelos ist'oriisa da k'ult'uris dzeghta aghts'eriloba [Description of monuments of history and culture of Georgia]*. (1990). t'. 5. tbilisi.
- ghambashidze, n. (2011). *kartuli khalkhuri da saek'lesio dghests'aulebi [Georgian folk and church holidays]*. tbilisi: gamomtsemloba „tsitsinatela“.
- dzegli eristavta (ksnis eristavta sagvareulo mat'iane) [Monument to the Eristavi (Family Chronicle of the Eristavi of Ksani)]* (1954). t'ekst'i gamotsa, gamok'vleva, leksik'oni da sadziebeli daurto sh. meskhiam. tbilisi.
- tsintsadze, k'. (1994). *kvashvetis ts'mindis giorgis ek'lesia. [St. George's Church in Kvasveti]*. kartuli ek'lesiis ist'oria [History of the Georgian Church]. t'pilisi: gamomtsemloba „k'andeli“.
- khubua, m. (1937). „*khajaluri*“ da „*dadianuri*“ [Khajali and "Dadiani"]. *masalebi sakartvelos da k'avk'asiis ist'oriisatvis*. nak'vti II, 150-151.
- javakhishvili, i. (1979). *kartveli eris ist'oria [History of the Georgian nation]*, t'. I. tbilisi: gamomtsemloba „tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i“.